N 22-10-615
12/04/2022

615-შ-22-10-3-202204121345

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ კახი ბექაურს

კომისიის ადმინისტრაციის,
შესყიდვებისა და ქონების მართვის ჯგუფის
უფროსის მარიანა გამჯაშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო კახი,

გაცნობებთ, რომ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 ივნისის N15 ბრძანებით დამტკიცებული ,,სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის და საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის ოდენობებისა და გადახდის წესის“ მიხედვით, კომისიას სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნებისთვის გადასახდელი აქვს საფასური **100 ლარის** (CPV 64200000, გამარტივებული შესყიდვა, ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახადები).

გთხოვთ, დაავალოთ კომისიის აპარატის ადმინისტრაციის საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფს, უზრუნელყოს ზემოაღნიშნული თანხის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის (ს/კ 204428510) გადარიცხვა. ბიუჯეტის კოდი: 7475-5.

აღსანიშნავია, რომ სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის გადახდისას, გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის გადახდის დანიშნულების ველში უნდა მიეთითოს: **„ქვეკოდი – 9001,** სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასური“.

პატივისცემით,

მარიანა გამჯაშვილი

ჯგუფის უფროსი
შესყიდვების და ქონების მართვის ჯგუფი

GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION

Digitally signed by GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION
Date: 2022.04.12 16:18:12 +04'00'